დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები და სასამართლოს დისკრეცია მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესში

ხურცილავა რობიზონ *- ასოცირებული პროფესორი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*
ხურციძე დავითი *- სტუდენტი, სამართლის პროგრამა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

Immediately Enforceable Decisions and the Court's Discretion in the Process of Granting a Party's Request

Khurtsilava Robizon *- Associate Professor, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*
Daviti Khurtsidze *– Student, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

Abstract

This article covers the institution of immediately enforceable court decisions and defines the scope of judicial discretion in the process of granting a party's request.

The restoration of a disputed or violated right falls within the jurisdiction of the court. After resolving the dispute on the merits, the court delivers a decision that determines the existence or absence of a party's rights and the facts underlying them. However, a court decision remains merely formal if the entitled party is unable to enforce the granted claim based on it. As a general rule, enforcement is conditional upon the entry of the decision into legal force. The material-legal consequence of a decision entering into legal force is the sanctioning of specific legal relations as abstractly expressed in the legal norm. Despite this, legislation establishes an exception that allows the enforcement of a decision before it enters into legal force. Immediately enforceable decisions serve as a practical manifestation of effective justice and the right to a fair trial.

This article discusses the institution of immediately enforceable decisions as provided by the Civil Procedure Code of Georgia. The development of social relations often complicates the possibility of framing judicial actions within a rigid legislative structure, i.e., fully regulating them through legal norms. The legislator cannot create such a universal procedural norm that would allow for the lawful resolution of disputes without judicial discretion. Accordingly, the judiciary is granted the authority to exercise discretion in civil cases, enabling the court to interpret norms and fill legislative gaps. Such an approach is particularly required when the court considers a request to render a decision immediately enforceable. Given the complexity of the issue, it is relevant to share international experience. The article refers to and analyzes the approach of the German Code of Civil Procedure, aiming to improve the national legal framework—specifically, to broaden the category of immediately enforceable decisions and to establish a legislative standard for their enforcement.

Several methods were used during the research: the analysis and synthesis method, the logical analysis method.

Keywords: immediately enforceable decisions, entry into legal force of a court decision

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია მოიცავს დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების ინსტიტუტის მიმოხილვას და სასამართლოს დისკრეციის ფარგლების დადგენას მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესში.

პირთა სადავოდ გამხდარი ან დარღვეული უფლების აღდგენა სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება. სასამართლო დავის არსებითად გადაწყვეტის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ახდენს მხარის უფლებებისა და მათ საფუძვლად არსებული ფაქტების არსებობის ან არარსებობის დადგენას. სასამართლო გადაწყვეტილება იქნება მხოლოდ ფორმალური, თუ მის საფუძველზე უფლებამოსილი პირი ვერ მოახდენს დაკმაყოფი-

ლებული მოთხოვნის აღსრულებას. ზოგადი წესის მიხედვით, აღსრულების წინაპირობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა წარმოადგენს. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი არის სამართლის ნორმაში აბსტრაქტულად გამოხატული კონკრეტული ურთიერთობების სანქციონირება. მიუხედავად ზემოხსენებულისა, კანონმდებლობა გამონაკლისის სახით ადგენს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას მისი კანონიერ ძალაში შესვლის გარეშე. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები ეფექტური მართლმსაჯულებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების პრაქტიკული გამოვლენაა.

სტატიაში განხილული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების ინსტიტუტი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება ხშირად ართულებს სასამართლო მოქმედებების საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევის შესაძლებლობას ანუ სამართლებრივი ნორმებით მის სრულ მოწესრიგებას. კანონმდებელს არ შესწევს ძალა შექმნას ისეთი უნივერსალური საპროცესო ნორმა, რომელიც უდავოდ სასამართლოს დისკრეციის გარეშე შეძლებს დავის კანონიერ გადაწყვეტას. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლებას სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება დისკრეციით განიხილოს მხარის მოთხოვნა და ნორმის განმარტების გზით შეძლოს საკანონმდებლო ბაზის შევსება. სწორედ მსგავსი მიდგომა მოეთხოვება მოსამართლეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ მხარის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ვინაიდან სახეზე გვაქვს კომპლექსური საკითხი, რელევანტურია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. სტატია ითვალისწინებს, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიდგომების გაზიარებასა და გაანალიზებას, ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის მიზნით. კერძოდ, დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების კატეგორიის გაფართოების და უზრუნველყოფის სტანდარტის საკანონმდებლო მოწესრიგების თვალსაზრისით.

კვლევის დროს გამოყენებულია რამდენიმე მეთოდი: ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ლოგიკური ანალიზის მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა.

შესავალი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, ყოველი პირისთვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.[1] აღნიშნული ნორმა საერთაშორისო სტანდარტების, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის ასახვას წარმოადგენს, რომლის თანახმად მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უნდა უზრუნველყოფდეს უფლების ეფექტიან აღდგენას. რაც

[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 16/04/2025, მუხ. 2 ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962/www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/hudoc.echr.coe.int/eng?publication=171 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

გულისხმობს ნებისმიერი პირის არა მხოლოდ შესაძლებლობას , მიმართოს სასამართლოს, არამედ ასევე სასამართლოს ვალდებულებას მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.[2]

როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო სასამართლო ხელისუფ-ლებას ავალდებულებს კანონით დადგენილი წესით მიიღოს პირის განაცხადი უფლების დარღვე-ვასთან დაკავშირებით[3] და გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც იქნება როგორც კანონიერი, ასევე სამართლიანი და განჭვრეტადი.[4]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძირითადი კანონი კონსტიტუცია თითოელი ადამია-ნისთვის ადგენს თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის პრინციპს, სახელმწიფოსთვის ძალიან დიდ გამოწვევას წარმოადგენს ამ უფლების რეალიზების ხელშეწყობა და მიმართვის შემთხვევაში უფლების დარღვევის ან დარღვევის მცდელობის რაციონალურად და კანონის შესაბამისად აღ-მოფხვრა.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი ორ ძირითად პრინციპს ადგენს: დისპოზიციურობასა და შეჯიბრებითობას. დისპოზიციურობის პრინციპის, რომელიც მატრიალური სამართლის პრინციპის - ნების ავტონომიის ანარეკლია,[5] განხორციელება მხარის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის გზით იწყება, ხოლო შეჯიბრებითობის პრინციპი უშუალოდ სამართალწარმოების მიმდინარეობისას იჩენს თავს. [6]

დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლენაა პირის უფლება განსაზღვროს დავის საგანი და მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოსთვის მიმართვასთან დაკავშირებით. სწორედ ამ პრინციპის რეალიზება მოითხოვს სასამართლო ხელისუფლების ეფექტიან ფუნქციონირებას. სასამართლომ, კონკრეტულად კი მოსამართლემ პროცესი უნდა წარმართოს გონივრულად და დაადგინოს ობიქტური ჭეშმარიტება, რომელიც დასაბუთებულად სასამართლო გადაწყვეტილების სახით უნდა მიეწოდოს საქმეში ჩართულ მხარეებს. გადაწყვეტილების ადრესატები არიან პირველ რიგში დავის მხარეები.[7] სახელმწიფო სახელით დადგენილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას.[8]

თუმცა სასამართლო გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს პირის იურიდიული ინტერე-სის დაკმაყოფილებას. სუბიექტისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ გადაწყვეტილების აღსრულე-ბა, რომელიც თავის მხრივ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია. აღსრულების უფლება

---

[2] ხურცილავა, რ., სააპელაციო საჩივრის შეტანა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის ანალიზი, მართლმსაჯულება და კანონი #1(36) 13, გვ. 82

[3] Weston, M., The Benefits of Access to Justice for Economies, Societies, and the Social Contract, 2022, გვ. 3, ხემისაწვდომია - https://bit.ly/3Z1NowP უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[4] Vanamo, L., Access to Justice: A Conceptual and Practical Analysis with Implications for Justice Reforms, 2005, გვ. 4-6, ხელმისაწვდომია - https://www.files.ethz.ch/isn/138673/25.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[5] კაჟაშვილი, გ, საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა, 2018, გვ. 20, ხელმისაწვდომია - https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Guliko_Kazhashvili.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია -[29/05/2025]

[6] მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები, თბილისი, 2017 წ.

[7] კუპრაშვილი, თ., პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი და სტრუქტურა საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო პროცესის ნორმების მიხედვით, გვ.66, ხელმისაწვდომია - https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/7940/7954, უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სააღსრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებზე, 2021, გვ.8 , https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saq.uzenaesi-sasamartlos-ertgvarovani-praqtika-saaxsrulebo-urtiertobidan-gamomdinare-davebze.pdf, უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მოცემული, თუმცა კონვენციის ორგანოების მიერ განმარტებული იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 (§1) მუხლის გაგებით (იხ. Hornsby c. Grèce, 19 mars 1997, §40, Recueil 1997-II).[9]

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ელემენტი, აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 31.1 მუხლით, რომლის თანახმად სასამართლო აქტის შესრულება სავალდებულოა.[10]

სამართლიანი სასამართლოს უფლება პრაქტიკული და ეფექტური უნდა იყოს და არა მხოლოდ თეორიული. ყოველივე ამას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლი, რომელიც ადგენს სასამრთლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის წინაპირობებს. კანონი მკაცრად განსაზღვრავს, რომ თუ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დასაშვებია და მხარე გამოიყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, მიღებული პირველი და მეორე ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში არ შედის მანამ სანამ, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები არ იქნება მიღებული.

აღნიშნული დანაწესი მხოლოდ ზოგადი ხასიათის მატარებელია და ეხება ყველა განსჯადი საქმის კატეგორიას, რომელსაც ამ კოდექსით დადგენილი წესით სასამართლო იხილავს. თუმცა საპროცესო სამართალი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას სსსკ. 268-ე მუხლით განსაზღვრული საქმეები მიაქციოს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

წარმოდგენილი ნორმის მიზანი გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების პრევენციაა. კანონმდებელი მოსამართლეს არ ანიჭებს უფლებამოსილებას თავისი ინიციატივის საფუძველზე გამოიყენოს დაუყოვნებლივ აღსრულების მექანიზმი, არამედ მოსამართლე უფლებამოსილია დისკრეციით განიხილოს მხარის დისპოზიციური მოთხოვნა და მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები. თუმცა აღნიშნული ნორმა თითოეულ შემთხვევასთან მიმართებით საჭიროებს სასამართლოს მხრიდან ინდივიდუალურ განმარტებას, რათა სასამართლოს მიდგომა არ იყოს ტენდენციური და არ გამოიწვიოს მხარეთა უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვა. შესაბამისად, ნორმის განმარტება და სასამართლოს დისკრეცია შესაბამისობაში უნდა იყოს დავის კატეგორიასთან, მხარეთა ინტერესების სამართლიან და დაბალანსებულ დაკმაყოფილებასთან.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელ საქმეთა კატეგორია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

სასამართლო გადაწყვეტილების, როგორც მართლმსაჯულების აქტის მიზანი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტაა. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კი გადაწყვეტილება სავალდებულო და შეუქცევად ხასიათს იძენს.[11] გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა პრეიუდიციულ ხასიათს ატარებს მხარისთვის და მოგებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას აღასრულოს სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული მოთხოვნა. ფორმალური კანონიერი ძალა პრაქტიკული მნიშვნელობისაა, ვინაიდან მისი დადგომის

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი No 40765/02), 2006 წლის 28 ნოემბერი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/apostoli.pdf, უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[10] საქართველოს კონსტიტუცია , მუხ. 31, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36 , უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[11] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, 2020, თბილისი, გვ.989

შემდეგ გასაჩივრების საშუალებები უკვე აღარ არის დასაშვები და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადობის მიმართ აღარავითარი შეზღუდვები აღარ მოქმედებს.[12]

როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება და როგორი კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები განუხორციელებელი იქნება თუ მიღებული გადაწყვეტილება არ აღსრულდება.[13]

ზოგადი წესის მიხედვით, გადაწყვეტილების აღსრულება ხდება მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, გარდა დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებისა.[14] აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ცნებები - "გადაწყვეტილების აღსრულება" და "გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა". დაუყოვნებლივ აღსრულება სრულად არ გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა, ვინაიდან იგი შეიძლება გაუქმდეს მეორე და მესამე ინსტანციების გადაწყვეტილებების საფუძველზე. სსსკ. 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს გადაწყვეტილებათა სანიმუშო ჩამონათვალს , რომლებიც შეიძლება გადაეცეს დაუყოვნებლივ აღსრულებისთვის.[15]

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების ინსტიტუტი მხარის ინტერესების დაცვას და შესაძლო ფინანსური დანაკლისის პრევენციას ემსახურება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ წარმოდგენილი ნორმის პუნქტები თავისი შინაარსით ორ პირობით კატეგორიად შეიძლება დავყოთ: პირველ კატეგორიას შესაძლოა დავარქვათ "კანონით პირდაპირ განსაზღვრული საქმეები", რომლებზეც სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს დაუყოვნებლივი აღსრულება, ხოლო მეორე კატეგორიას შეიძლება დავარქვათ "ყველა სხვა საქმე, რომლის გადაწყვეტილების აღსრულების შეყოვნებამ მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მიაყენოს გადამხდევინებელს". საქმეებზე, რომელსაც მოცემული ნორმა განსაზღვრავს მოსამართლის დისკრეცია უფრო ნაკლებია ვიდრე ისეთ დავებში, რომელთაც ნორმა პირდაპირ არ აკონკრეტებს.

ალიმენტის მიკუთვნების, დასახიჩრებით, ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს დავათა ისეთ კატეგორიას, რომლებშიც მხარე ითხოვს კანონით მინიჭებული სუბიექტური უფლების განხორციელებას, რომელიც მას კანონით ან ზიანის მიყენების შედეგად წარმოეშვა.

ალიმენტის მიკუთვნების შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლით, ბავშვის საუკეთოსო ინტერესების პრინციპით.[16] ალიმენტის მოთხოვნის უფლება უნივერსალური უფლებაა, ვინაიდან თითოელი მშობელი სსკ. 1198-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულია უზრუნველყოს შვილის ფინანსური მხარდაჭერა.[17] აღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვს ყოველდღიურად ესაჭიროება ხარჯება, შესაბამისად დაუყოვნებლივ აღსრულება ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობას, მიიღოს საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ფინანსები. მიუხედავად, დაუყოვენბლივ აღსრულებისა, მეორე მხარეს არ ერთმევა უფლება სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში იდავოს ალიმენტის ოდენობასთან დაკავშირებით.

---

[12] იქვე, გვ. 969

[13] ძლიერიშვილი, ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, 2018, გვ. 5

[14] ქურდაძე, შ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2015, გამომცემლობა "მერიდიანი", გვ. 618

[15] ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი, ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი, გვ. 474

[16] საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 13/05/2025, მუხ. 5, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/document/view/4613854?publication=11 , უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[17] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 13/12/2024 , მუხ. 1198, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=133, უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

რაც შეეხება დასახიჩრებას, ჯანმრთლობის სხვა დაზიანებით, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ამ შემთხვევაშიც წინა პლანზე დგას მოსარჩელე მხარის, ფიზიკური თუ მორალური ზიანის მქონე ადამიანის ინტერესები, ვინაიდან გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამ და დროის გასვლამ მისთვის შეუქცევადი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს.

მნიშვნელოვანია ცალკე გამოიყოს შრომით დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი. სსსკ. 268-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ, უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. აღნიშნული დანაწესის საფუძველი დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სუბორდინაციული ურთიერთობის არსებობაა. ამასთან შრომის სამართალი "Favor Prestatoris" პრინციპით იცავს სუსტი მხარის ინტერესებს.[18] იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ხელფასის მიკუთვნების ან მუშაკის სამუშაოზე აღდგენის თაობაზე, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია მიაქციოს იგი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოცემული ნორმა მატერიალური ქონებრივი სიკეთიდან გამომდინარე საქმეებთან ერთად აერთიანებს არამატერიალური ქონებრივი სიკეთიდან გამომდინარე საქმეებზე დაუყოვნებლივი აღსრულების შესაძლებლობას, კერძოდ თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებებისა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თამასუქისა და და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელები განიხილება, როგორც გამარტივებული, ასევე სასარჩელო წარმოების წესით.[19] სსსკ. 268-ე მუხლის ვ) ქვეპუნქტი არ განსაზღვრავს კონკრეტულად რომელი წარმოების წესით განხილული საქმის გადაწყვეტილება შესაძლებელია მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ დაუყოვნებლივ აღსრულების მექანიზმი ვრცელდება როგორც სასარჩელო წარმოების წესით, ასევე გამარტივებული წესით მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სამოქალაქო ბრუნვა, ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარება მოითხოვს როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო ნორმების მისადაგებას ფაქტობრივ რეალობასთან. მოცემულმა ნორმამაც განიცადა ცვლილება და 2015 წელს დაემატა ე[1]) პუნქტი, რომელმაც შესაძლებელი გახადა უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსრულება. კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ მისი "მიზანია უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის ან სხვაგვარად ხელშეშლის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტური მექანიზმის შექმნა, კერძოდ, ამ კატეგორიის საქმეებზე პირველი ინსტანციის წესით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების დაშვება".[20] ზოგადად, ვინდიკაციური სარჩელის არსი საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან მომდინარეობს, რაც გულისხმობს მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს

---

[18] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, "დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და უკანონო დათხოვნის სამართლებრივი შედეგები", 2021, თბილისი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/kvlevis_da_analizis_centri/kvlevebi/shromiti-xelshekrulebis-shewyveta.pdf , უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[19] ხურცილავა, რ., გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, 2009, გვ.14, ხელმისაწვდომია - https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164169/1/Disertacia.pdf , უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[20] განმარტებითი ბარათი კანონპროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 11/12/2015, დოკუმენტის ნომერი - 4626-Iს, ხელმისაწვდომია - https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/78076 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით, მათ შორის, მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.[21] შესაბამისად, იმისთვის, რომ განხორციელდეს მესაკუთრის დარღვეული უფლების ფაქტობრივად მოკლე პერიოდში აღმოფხვრა, კანონმდებელმა ლეგიტიმურად ჩათვალა ვინდიკაციურ სარჩელებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე კანონიერ ძალაში შესვლამდე აღსრულების გავრცელება.

ალიმენტთან დაკავშირებით საუბრის დროს ხაზი გავუსვით ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნებას, თუმცა სსსკ. 268-ე მუხლი ბავშვებთან დაკავაშირებით კიდევ ერთ ქვეპუნქტს მოიცავს. ამავე ნორმის 1^2 ქვეპუნქტის თანახმად, "არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაეცემა, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რაც მიეთითება იმავე გადაწყვეტილებაში." ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებამ აუცილებელი გახადა საპროცესო კანონმდებლობის მასთან შესაბამისობაში მოყვანა.[22] იმისთვის, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ეტაპზე დამკვიდრებულიყო ბავშვის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტი, დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს დაემატა არასრულწლოვანთა უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლო მიხედულობასა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობაზეა დამოკიდებული საჭიროა თუ არა მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. შესამაბისად, მტკიცების ტვირთიც სწორედ იმ მხარეზეა, რომელიც შუამდგომლობით ითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, "მართალია საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები კერძო სამართალს განეკუთვნება, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო ინარჩუნებს უფლებას, დაადგინოს ის გარემოებანი, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს არასრულწლოვნის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მიღებას."[23] შესაბამისად, სხვა საქმეებთან შედარებით მტკიცების ტვირთზე უპირატესი ბავშვის საუკეტესო ინტერესებია და საბოოლოოდ სასამართლომ სწორედ ჭეშმარტი ინტერესის საფუძველზე უნდა განიხილოს შუამდგომლობის დაკმაყოფიელების საკითხი.

ძალადაკარგული ნორმა - ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების დაუყოვენებლივ აღსრულების შესაძლებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლს საკანონმდებლო ცვლილებებზე უფრო მეტად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები შეეხო. სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების საფუძველზე ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსრულება.

სანამ სსსკ.268-ე მუხლის 1^1 ქვეპუნქტის 1-ლი და მე-2 წინადადება ძალადაკარგულად იქნებოდა ცნობილი, მისი ფორმულირება შემდეგგვარი იყო - "ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე №ას-632-2021 30 ივლისი, 2021 წელი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/66830/1

[22] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 20/09/2019, დოკუმენტის ნომერი - 5014-Iს, ხელმისაწვდომია - https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214119 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-53-51-2016, 06 ივლისი, 2016 წელი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/62751/1 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც."[24] ამავდროულად წარმოდგენილი ნორმა არ უშვებდა აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფის და ზუსტი ზარალის გამოანგარიშების შესაძლებლობას.

ფაკულტატური დაუყოვნებლივი აღსრულება მხარეებს აძლევდათ საშუალებას თავად განესაზღვრათ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი იმავე ხელშეკრულებაში, რომლითაც ისინი განსაზღვრავდნენ ურთიერთობის საგანს. შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის არარსებობა იწვევდა სუსტი მხარის ინტერესების შეზღუდვას და მხარეთა შეთანხმებით საპროცესო მოქმედებების შესრულებას. აღნიშნული საკითხი გახდა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საგანი, რადგან თეორიტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტების ნაწილის მოსაზრებით, ნების ავტონომიის პიროპებშიც კი შეუძლებელია არსებობდეს შეთანხმება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სადავო ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით და ძალადაკარგულად გამოაცხადა მისი პირველი და მეორე წინადადება. სასამართლომ მიუთითა, რომ იმჟამინდელი რედაქციით აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება ხდებოდა კონკრეტული კონსტიტუციური მოთხოვნებს დაცვის გარეშე. ამავე დროს სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ მიუჩნევია, ზოგადად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების ინსტიტუტის არსებობა, იმ შემთხვევაში თუ დაცული იქნება კონსტიტუციური სტანდარტები.[25] ამავდროულად აღნიშნული გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ამ საფუძვლით დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა და გადაწყვეტა.

მიღებული გადაწყვეტილების ეფექტური იმპლემენტაციისთვის კი კანონმდებელს განესაზღვრა გონივრული ვადა, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოცემული ნორმა ისევ ძალადაკარგული სტატუსით გვხვდება და საკანონმდებლო ცვლილება ჯერ-ჯერობით არ განხორციელებულა. ვინაიდან სსსკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს, ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც ეყრდნობა სსსკ. 268-ე მუხლის 1^1 ქვეპუნქტს სასამართლოს მიერ არ უნდა დაკმაყოფილდეს.[26]

განსაკუთრებული გარემოება, როგორც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საფუძველი და სასამართლოს დისკრეცია მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავს საქმეთა კატეგორიას, რომლებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც შეიძლება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. მოცემული ნორმა "დახურულ ნიშანთა" პრინციპის მიხედვით არ

---

[24] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 16/04/2025, მუხ.268, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962/www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/hudoc.echr.coe.int/eng?publication=171 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/3/1421,1448,1451 2023 წლის 11 აპრილი, ქ. ბათუმი, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/5782911?publication=0#DOCUMENT:1;, უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე № ას-13-2024 22 იანვარი, 2024 წელი, თბილისი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/72066/1 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

არის ჩამოყალიბებული და მოიცავს ზ) ქვეპუნქტს, რომლის თანახმად ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსრულების მექანიზმი.

ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებითაც ნათელია, რომ ეს ნორმა მიემართება ყველა საქმეს, რომელიც სამოქალაქო წესით შეიძლება იქნეს განხილული და ჩამოთვლილი არ არის სსსკ. 268-ე მუხლში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი ასევე უშვებს ისეთი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესაძლებლობას, რომელიც აღნიშნულ ნორმაში პირდაპირ მითითებული არ არის, თუმცა მისი დაუყოვნებლივ აღსრულება განპირობებულია ობიექტური აუცილებლობით. არსებობს მოსაზრება, რომ სსსკ. 268-ე მუხლის ზ) ქვეპუნქტი ბუნდოვანია და აძლევს მოსამართლეს დისკრეციულ შესაძლებლობას, შეხედულებისამებრ განმარტოს იგი და დაარღვიოს მხარის საკუთრების და სამართლიანი სასამართლოს უფლება ისე, რომ არ დაუტოვოს მას ზემდგომ ინსტანციაში ეფექტური გასაჩივრების საშუალება.[27]

აღნიშნული ობიექტური აუცილებლობის მტკიცების ტვირთი იმ მხარეს ეკისრება, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას. შუამდგომლობის ავტორმა უნდა წარადგინოს მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე დადასტურდება ზიანის წარმოშობის რისკი. სამართლებრივი დასკვნის მოსამზადებლად სასამართლოსთვის აუცილებელია დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა. კერძოდ, მან უნდა შეაფასოს, რა სახის ზიანი შეიძლება მიადგეს პირს იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულება დაგვიანდება. ზიანის დადგომის ალბათობის დასადგენად, მოსამართლემ უნდა გააანალიზოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ზიანის წარმოშობას წინ უსწრებს, რადგან მხოლოდ სამართლებრივი შეფასება ასეთი რისკის არსებობის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის.[28] ამასთან აღსანიშნავია, რომ ზიანის ცნებაში არ უნდა მოვიაზროთ მხოლოდ ქონებრივი დანაკარგი. მაგალითად, იმ პირისგან ბავშვის დაბრუნების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების დროს, როცა პირი უკანონოდ ამყოფებს ბავშვს მასთან, გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება საფრთხეს უქმნის ბავშვის უსაფრთხოებას.[29]

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს სადავო ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება იმ შემთხვევაში როდესაც მის შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება აღსრულების დაყოვნების შედეგად მიყენებულ ზიანს. დაცული სიკეთისა და დაყოვნების შედეგად მიყენებული ზიანის პროპორციულობის შეფასება სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება, რომელიც მოსამართლემ მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების და პოზიციის საფუძველზე უნდა მიიღოს.

შესაბამისად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების ალბათობის შეფასება ეფუძნება არა აბსტრაქტულ სამართლებრივ არგუმენტებს, არამედ იმ კონკრეტულ რეალობას, რომელიც სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება.[30]

---

[27] კონსტიტუციური სარჩელი, სს „თიბისი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N677, 28 ოქტომბერი 2015, ხელმისაწვდომია - https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2004 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[28] უზენაესი სასამართლოს განჩინება № ას-495-495-2018 3 ივლისი, 2018 წელი, ქ. თბილისი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/61811/1 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[29] ქურდაძე, შ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2015, გამომცემლობა "მერიდიანი", გვ. 618

[30] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/5/675,681 საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 “ და „შპს ტელეკომპანია საქართველო “ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-16.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების ინსტიტუტის არსის გასაგებად მიზანშეწონილია სხვა ქვეყანათა კანონმდებლობის ანალიზი და მათი შედარება ქართულ საპროცესო კანონმდებლობასთან. ამ შემთხვევაში კი რელევანტური იქნება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის განხილვა.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს 708-720 მუხლები ეხება. მიუხედავად ინსტიტუტის სახელწოდების იდენტურობისა, ჩვენსა და გერმანულ ვარიანტს შორის ძირეული განსხვავება არსებობს.

გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია მაშინაც კი, თუ ის ჯერ არ არის საბოლოო და სავალდებულო.[31] დაუყოვნებლივ აღსრულების ინსტიტუტის გამოყენების მიზეზი, ერთი მხრივ, ის არის, რომ კრედიტორისთვის სულაც არ არის გონივრული დაელოდოს გაჭიანურებულ სააპელაციო პროცესს. უფრო მეტიც, პრაქტიკა ხშირად აჩვენებს, რომ სააპელაციო საჩივრები შეტანილია მხოლოდ დროის მოსაგებად.[32] გერმანული საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს დაუყოვნებლივ აღსრულებას უზრუნველყოფით და უზრუნველყოფის გარეშე. უზრუნველყოფაში იგულისხმება ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

გსსკ. 708-ე მუხლი სსსკ. 268-ე მუხლის მსგავსად აკეთებს ჩამონათვალს იმ საქმეების შესახებ, რომლებიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად შეიძლება მიექცეს უზრუნველყოფის გარეშე. აღნიშნული ნორმა ჩვენის მსგავსად მოიცავს ალიმენტის მიკუთვნების, დასახიჩრების, უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ასევე წარმოდგენილი ნორმა ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობას. იდენტურ დანაწესს ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი რედაქციაც შეიცავდა, თუმცა 2006 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ამოღებულ იქნა. ყველა ზემოხსენებული გადაწყვეტიების დაუყოვნებლივ აღსრულება ხდება უზრუნველყოფის შეტანის გარეშე.[33]

გსსკ. 708-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად დაუყოვნებლივ აღსასრულებლად შეიძლება მიექცეს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მეორე მხარის აღიარების საფუძველზე. თუ მოპასუხე პროცედურულ აღიარებას გააკეთებს, ეს მას ხელს არ უშლის შემდგომში გადაწყვეტილების გასაჩივრებაში. შესაბამისად გსსკ. 708-ე მუხლი იცავს მოსარჩელის ინტერესებს და მას მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობას ანიჭებს.

სამართლებრივი რეგულირების საწყისი წერტილი ის არის, რომ გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებელი, თუ იგი სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არის გამოცხადებული. ასეთი განცხადების გარეშე, აღსრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება.

განსხვავებულ რეგულირებას გვთავაზობს გსსკ. 709-ე მუხლი, რომლის სახელწოდება შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგგვარად - "გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება უზრუნ-

---

[31] Hammerich, P, Urteil vorläufig vollstreckbar: Was bedeutet das für Schuldner?, 2025

[32] Minisini, H, Engler,B, Vorläufige Vollstreckbarkeit und Sicherungsvollstreckung, 2022, ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3SnthW7 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[33] Zivilprozessordnung, § 708, ხელმისაწვდომია - https://www.gesetze-im-internet.de/zpo/__708.html უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

ველყოფით".[34] მოცემული ნორმა ეხება ყველა სახის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც შეიძლება გამოცხადდეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად უზრუნველყოფის წარდგენის შემთხვევაში, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო. მაგალითად, ფულად მოთხოვნებზე უზრუნველყოფის ოდენობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მოთხოვნის მოცულობასთან. გსსსკ-ის მოცემული ნორმის მიხედვით, აუცილებელია „თითოეულ შემთხვევაში აღსასრულებელი თანხის კონკრეტული თანაფარდობის განსაზღვრა". პრაქტიკაში, ეს თანაფარდობა განისაზღვრება 100%-იანი საგარანტიო დეპოზიტისა და 10-დან 30%-მდე საგარანტიო პრემიის მოთხოვნით, რომელიც მოიცავს აღსრულებასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს და პროცენტს.[35] აღნიშნული ნორმის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული მექანიზმისგან განსხვავებით, თუ პირი წარადგენს უზრუნველყოფას ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ამ შემთხვევაში უპირატესი არ არის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცება. ამასთან, გსსკ. 708-ე - 720 -ე მუხლებით იცავს ორივე მხარის უფლებებს და აძლევს საშუალებას უზრუნველყოფის წარდგენის გზით აიცილონ დაუყოვნებლივი აღსრულების შემდგომ წარმოშობილი რისკები.

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლოს მიერ შესასრულებელი საპროცესო მოქმედებები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი აწესებს, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა დასაშვებია, მხოლოდ მხარეთა თხოვნით. მოცემულ შემთხვევაშიც სწორედ მხარეზეა დამოკიდებული გამოიყენებს თუ არა დისპოზიციურობის პრინციპით მინიჭებულ უფლებამოსილებას. თუმცა ნორმის ფორმულირებაც ცხადყოფს, რომ მისი თითოეული ნაწილისთვის მტკიცების განსხვავებული სტანდარტია დადგენილი. მაგ: დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მხარეს არ ეკისრება მტკიცების კვალიფიციური ტვირთი, ვინაიდან სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებული მხარის ინტერესები და საჭიროებები. რაც შეეხება ზ) ქვეპუქტს, მხარე ვალდებულია დაასაბუთოს ორი პირობის არსებობა: 1. გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნება გადამხდევინებელს მნიშვნელოვან ზიანს უნდა აყენებდეს ; 2. გადაწყვეტილების აღსრულება მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ შეუძლებელი უნდა იყოს. სასამართლომ ობიექტურად უნდა შეაფასოს შუამდგომლობის ავტორის პოზიცია და წარდგენილი მტკიცებულებები.

კანონმდებელი იცავს მოპასუხის უფლებებსაც. სსსკ. 268-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ან მეორე ინსტანციის მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება და მიაჩნია, რომ იგი შეიძლება იყოს კანონიერი და დასაბუთებული, არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების რამდენიმე ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტურ ქვაკუთხედს წარმოადგენს.[36]

---

[34] Zivilprozessordnung, § 709, ხელმისაწვდომია - https://www.gesetze-im-internet.de/zpo/__709.html უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[35] Schröder, H, Nebenentscheidung über die vorläufige Vollstreckbarkeit im Zivilrecht, 2011

[36] კონსტიტუციური სარჩელი, სს „თიბისი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N677, 28 ოქტომბერი 2015, ხელმისაწვდომია - https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2004 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

კანონმდებელი საქმის განმხილველ მოსამართლეს იმპერატიულ მოთხოვნას უწესებს, კერძოდ, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას. მოცემული დანაწესიც მხარეებს და სამართლებრივ სიკეთეებს შორის სამართლინი და პროპორციული ბალანსის დაცვას ემსახურება. სსსკ. 268-ე მუხლის მესამე ნაწილში კონკრეტულად არ არის მითითებული ვინ უნდა წარმოადგინოს ზარალის ოდენობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა ლოგიკურია რომ მტკიცების ტვირთიც ამ შემთხვევაში იმ მხარეს ეკისრება, რომელიც ითხოვს დაუყოვნებლივ აღსრულებას. სასამართლოს დისკრეცია ვლინდება მხოლოდ იმ მომენტიდან როცა იგი აფასებს ზარალის ოდენობასა და მეორე მხარის შესაძლებლობას მოახდინოს მისი უზრუნველყოფა.

სასამართლო, რა თქმა უნდა, ვერ შეაფასებს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების რისკს, მაგრამ მან უნდა შეაფასოს იმ ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანის საფრთხე, რომელიც მოპასუხე მხარეს გაუქმების შედეგად შესაძლოა წარმოეშვას. აღნიშნული კი მიუთითებს სასამართლოს დისკრეციაზე კანონის და შინაგანი რწმენის საფუძველზე ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეაფასოს დაუყოვნებლივი აღსრულების საჭიროება.

სსსკ. 269-ე მუხლი ადგენს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვის წესს. "გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს იმავე სხდომაზე, რომელზედაც გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი აღნიშნულ სხდომაზე არ იქნა განხილული, იგი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ მისი ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას."[37] თუმცა წინამდებარე ნორმიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვასა და გადაწყვეტას.[38]

სსსკ. 268-ე მუხლის ზ) ქვეპუნქტის მიზანი არის ის, რომ განისაზღვროს ზიანის წარმოშობის საშიშროება და გადაწყვეტილების აღუსრულებლობის რისკი. შესაბამისად მიზანშეწონილია სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილოს შუამდგომლობა და მოისმინოს მხარეთა პოზიციები. „პირის შესაძლებლობა, მის უფლებასთან დაკავშირებული საქმე განხილულ იქნეს საჯარო მოსმენით და ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა ...დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით. შესაბამისად, ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც ახდენს პირის აღნიშნული შესაძლებლობების შეზღუდვას, წარმოადგენს ჩარევას სამართლიანი სასამართლოს უფლებაში“ [39]

როგორც ჩანს, სასამართლო პრაქტიკაში პრობლემულ საკითხს წარმოადგენს, თუ როდის უნდა განხორციელდეს მხარის მიერ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნის დაყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადსაღებია უზენაესი სასამართლოს განმარტება. ერთ-ერთ საქმეში მხარემ მოითხოვა სააპელაციო ინსტანციის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსას-

---

[37] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 16/04/2025 , მუხ.269, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962/www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/hudoc.echr.coe.int/eng?publication=171 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[38] იქვე, 268 მუხლი

[39] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ “, II-5, ხელმისაწვდომია - https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=961

რულებლად მიქცევა. ზემოხსენებული მოთხოვნით მან გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მიმართა, თუმცა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ სადავო გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო მესამე ინსტანციაში და სააპელაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე. უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი და განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში. ამასთან განმარტა, რომ "მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ამასთან, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე მსჯელობა შესაძლოა მოხდეს, როგორც საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას, ისე გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, ხოლო გადაწყვეტილების სააპელაციო/საკასაციო წესით გასაჩივრება და საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ მსჯელობას არ გამორიცხავს."[40]

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებად შეიძლება იყოს მიქცეული, არ ართმევს მეორე მხარეს უფლებას გაასაჩივროს იგი. სსსკ. 270-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რომელიც არ შეაჩერებს ამ განჩინების შესრულებას.[41] აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ კერძო საჩივარი არ აჩერებს განჩინებას მოქმედებას.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების რეჟიმი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ვინაიდან ის ეხება ორივე მხარის – მოსარჩელისა და მოვალის – უფლებრივი მდგომარეობის ბალანსს. ზოგადი წესის მიხედვით, დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღსრულებული, თუმცა არსებობს გამონაკლისი, როდესაც ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია შეჩერდეს.

სსსკ. 375-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აღსრულების შეჩერება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დგინდება დასაბუთებული საფუძველი იმისა, რომ საქმე შესაძლოა დასრულდეს განსხვავებული შედეგით, რაც იძლევა სასამართლოსთვის საშუალებას, დროებით შეაჩეროს აღსრულება და მოითხოვოს შესაბამისი გარანტიების წარდგენა. აღნიშნული გარანტიები წარმოადგენს მექანიზმს, რომლის მიზანიც არის დავის საბოლოო შედეგის გათვალისწინებით მხარეთა ინტერესების დაცვა. აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გარანტიის წარდგენა ყოველთვის წინ უსწრებს აღსრულების შეჩერებას და არა პირიქით.

აუცილებელია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ყველა ტიპის დავებზე არ უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შეჩერება, როგორიცაა ალიმენტის საქმეები, სადაც დაუყოვნებლივი აღსრულება აუცილებელია და მისი შეჩერება სოციალური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მიუღებელია. შესაბამისად, სასამართლოები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ამ ინსტიტუტის გამოყენებას, რათა არ მოხდეს პროცესის ერთ-ერთი მხარის უფლებების გადაჭარბებული შეზღუდვა და დაცული იქნას სამართლებრივი ბალანსი.[42]

---

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე №ას-1373-2023 02 მაისი, 2024 წელი, ქ. თბილისი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/72558/1

[41] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 16/04/2025, მუხ. 270, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962/www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/hudoc.echr.coe.int/eng?publication=171 უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

[42] სხირტლაძე, ხ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პრობლემა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, 2024, გვ. 138, ხელმისაწვდომია -

დასკვნა

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების ინსტიტუტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია სამოქალაქო საპროცესო სამართალში, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ეფექტიანობას და პირის კანონიერი ინტერესების დროულ დაცვას. მისი მთავარი მიზანია თავიდან აიცილოს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის პროცესით გამოწვეული ხარვეზები, რაც, რიგ შემთხვევებში, არსებითად აზიანებს გამარჯვებული მხარის ინტერესებს. იმავდროულად, დაუყოვნებლივ აღსრულების მექანიზმის გამოყენება უნდა ემყარებოდეს მკაცრ პროცედურულ სტანდარტებს და სასამართლოს ზუსტ დისკრეციას, რათა დაცული იქნას ორივე მხარის უფლებები.

სსს. 268-ე მუხლის გამოყენება დამოკიდებულია სასამართლოს დისკრეციაზე, რაც გულისხმობს, რომ სასამართლოს აქვს შესაძლებლობა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვიტოს, მიაქციოს თუ არა კონკრეტული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ამ დისკრეციის ფარგლებში, მოსამართლეს ევალება კვალიფიციურად შეაფასოს მხარეთა პოზიციები, განიხილოს ზიანის რეალური რისკები, გააანალიზოს სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს იმ შემთხვევებს, როდესაც შუამდგომლობა დაყრდნობილია სსსკ 268-ე მუხლის ზ) ქვეპუნქტზე — "განსაკუთრებული გარემოება". აღნიშნულ ქვეპუნქტთან მიმართებით სავალდებულოა მხარისთვის მაღალი მტკიცების სტანდარტის მოთხოვნა. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს, თუ მტკიცებულებებით დასაბუთდა, რომ აღსრულების დაგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ ზიანს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების მომავალში აღსრულებას. ამავდროულად, უმჯობესი იქნება თუ ზ) ქვეპუნქტში მითითებული "მნიშვნელოვანი ზიანი" ჩანაცვლებული იქნება "გამოუსწორებელი ან შეუქცევადი ზიანით".

ამასთან, სსსკ. 268-270 მუხლებში ვხვდებით ისეთ ნაწილებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული. მიზანშეწონილი იქნება საკონსტიტუციო სასამრთლოს განმარტებების ეფექტური იმპლემენტაცია განხორციელდეს გონივრილ ვადაში და ნორმები ჩამოყალიბდეს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების უფრო ფართო კატეგორიას იცნობს. ამ მხრივ არ იქნება ურიგო, შეფასდეს გერმანიის საპროცესო სისტემის მაგალითზე, რამდენად მიზანშეწონილია საქართველოში "უზრუნველყოფით დაუყოვნებლივ აღსასრულებელ" საქმეთა რიცხვის გაფართოება, რომელიც ორიენტირებულია ორივე მხარის უფლებების დაცვაზე.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების ინსტიტუტის სათანადო გამოყენება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამართლებრივი სისტემის ეფექტურობისთვის. სასამართლოს დისკრეცია ამ პროცესში უნდა განხორციელდეს მკაცრი სტანდარტების დაცვით, ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით და მტკიცების მაღალი ხარისხის შეფასებით. კანონმდებლობის დახვეწა, პრაქტიკის ერთგვაროვნება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება შესაძლებელს გახდის პროცესის ეფექტურებასა და უფლებადარღვეული პირის ინტერესების კანონიერ და დროულ დაკმაყოფილებას.

---

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/539249/1/Sxirtladze_Xatuna_Disertacia.pdf, უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. საქართველოს კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 16/04/2025, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962/www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/hudoc.echr.coe.int/eng?publication=171
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 13/12/2024 , მუხ. 1198, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=133
4. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 13/05/2025, მუხ. 5, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/document/view/4613854?publication=11
5. განმარტებითი ბარათი კანონპროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 11/12/2015, დოკუმენტის ნომერი - 4626-Iს, ხელმისაწვდომია - https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/78076 მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები, თბილისი, 2017წ.
6. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 20/09/2019 , დოკუმენტის ნომერი - 5014-Iს, ხელმისაწვდომია - https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214119
7. კაჟაშვილი, გ., საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა, 2018, გვ. 20, ხელმისაწვდომია - https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Guliko_Kazhashvili.pdf
8. კუპრაშვილი, თ., პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი და სტრუქტურა საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო პროცესის ნორმების მიხედვით, გვ.66, ხელმისაწვდომია - https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/7940/7954,
9. ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი, ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი
10. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, 2020, თბილისი
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სააღსრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებზე, 2021, გვ.8 , https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saq.uzenaesi-sasamartlos-ertgvarovani-praqtika-saaxsrulebo-urtiertobidan-gamomdinare-davebze.pdf
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, "დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და უკანონო დათხოვნის სამართლებრივი შედეგები", 2021, თბილისი, ხელმისაწვდომია https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/kvlevis_da_analizis_centri/kvlevebi/shromiti-xelshekrulebis-shewyveta.pdf
13. სხირტლაძე, ხ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პრობლემა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, 2024, გვ. 138, ხელმისაწვდომია - https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/539249/1/Sxirtladze_Xatuna_Disertacia.pdf
14. ძლიერიშვილი, ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, 2018
15. ქურდაძე, შ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2015, გამომცემლობა "მერიდიანი", გვ. 618
16. ხურცილავა. რ., გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, 2009, გვ.14, ხელმისაწვდომია - https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164169/1/Disertacia.pdf
17. ხურცილავა, რ., სააპელაციო საჩივრის შეტანა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის ანალიზი, მართლმსაჯულება და კანონი #1(36)13, გვ. 82

18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი No 40765/02), 2006 წლის 28 ნოემბერი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/s_winaagmdeg/apostoli.pdf , უკანასკნელად გადამოწმებულია - [29/05/2025]
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/3/1421, 1448, 1451 2023 წლის 11 აპრილი, ქ. ბათუმი, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/5782911?publication=0#DOCUMENT:1;
20. კონსტიტუციური სარჩელი, სს „თიბისი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N677, 28 ოქტომბერი 2015, ხელმისაწვდომია - https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2004
21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/5/675,681 საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 “ და „შპს ტელეკომპანია საქართველო “ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-16.
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ “, II-5, ხელმისაწვდომია - https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=961
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე №ას-632-2021 30 ივლისი, 2021 წელი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/66830/1
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-53-51-2016, 06 ივლისი, 2016 წელი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/62751/1
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე №ას-13-2024 22 იანვარი, 2024 წელი, თბილისი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/72066/1
26. უზენაესი სასამართლოს განჩინება № ას-495-495-2018 3 ივლისი, 2018 წელი, ქ. თბილისი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/61811/1
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე №ას-1373-2023 02 მაისი, 2024 წელი, ქ. თბილისი, ხელმისაწვდომია - https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/72558/1
28. Zivilprozessordnung , ხელმისაწვდომია - https://www.gesetze-im-internet.de/zpo/__708.html
29. Weston, M, The Benefits of Access to Justice for Economies, Societies, and the Social Contract , 2022, გვ. 3, ხემისაწვდომია - https://bit.ly/3Z1NowP
30. Vanamo, L, Access to Justice: A Conceptual and Practical Analysis with Implications for Justice Reforms, 2005, გვ. 4-6 , ხელმისაწვდომია - https://www.files.ethz.ch/isn/138673/25.pdf
31. Hammerich, P, Urteil vorläufig vollstreckbar: Was bedeutet das für Schuldner?, 2025
32. Minisini, H, Engler,B, Vorläufige Vollstreckbarkeit und Sicherungsvollstreckung , 2022, ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3SnthW7
33. Schröder, H, Nebenentscheidung über die vorläufige Vollstreckbarkeit im Zivilrecht, 2011.

https://ejournals.atsu.ge/BLSS/eJournal/Papers/KhurtsilavaRobizoni.pdf

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა
2025 წლის 4-5 ივლისს
მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია
"თანამედროვე განვითარების ეკონომიკური,
სამართლებრივი და სოციალური პრობლემები".